



168/4-2/22 2 13012022



168/4-2/22
13-01-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგამეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განცხადებით მომართა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა, რომელიც ითხოვს მთელი რიგი ნორმატიული აქტების გადაგზავნას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ გვაცნობოთ, უზრუნველყოფილია თუ არა (დადებით შემთხვევაში როგორ) პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ხელმისაწვდომობა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საქართველოს ნორმატიულ აქტებზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010132775581322

№1258

31 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 13 იანვრის № 168/4-2/22 მომართვის პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების/ბრალდებულების საქართველოს ნორმატიულ აქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, დანართის სახით გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე



№ 15/გ-14

24 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსს
(პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი)
ქალბატონ, მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2022 წლის 17 იანვრის № 591 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი მიხეილ სარჯველაძის № 168/4-2/22 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მხრიდან უზრუნველყოფილია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ პირთათვის (მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს ნორმატიული აქტის გაგზავნა.

კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გამოგზავნილი განცხადების საფუძველზე, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გამოცემული „მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარის 2014 წლის 15 მაისის № 56 ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მოთხოვნის შესაბამისად, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, უსასყიდლოდ, ბეჭდური სახით უგზავნის განმცხადებელს სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებულ შესაბამის ნორმატიულ აქტს სისტემატიზებული სახით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (სამასახური) უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი (საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან ხარაიშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახური

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
SPECIAL PENITENTIARY SERVICE



KA010100217940022

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№25562/01

28 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსს,
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2022 წლის 17 იანვრის N591 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის "პატიმრობის კოდექსის" N113 მუხლის მიხედვით პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყო ბიბლიოთეკა, სადაც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობაზე ხელმისაწვდომობა.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სოციალური მუშაკი მატერიალური სახით აწვდის მას სასურველ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს.

2019 წელს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან" თანამშრომლობის ფარგლებში N8 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში მოაწყო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" კომპიუტერული კუთხე, სადაც ბრალდებულ/მსჯავრდებულებს აქვთ წვდომა სხვადასხვა სახის ნორმატიულ აქტებზე ელექტრონულად. N8, N12, N15 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყო საკანონმდებლო მაცნეს კუთხე, სადაც განთავსდა სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა. ასევე, ყველა პენიტენციურ დაწესებულებისთვის მოხდა სხვადასხვა სახის საკანონმდებლო ლიტერატურის გადაცემა როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

პატივისცემით,

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-
რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



ინგა სარჯველაძე